პირველი გამარჯვება სტუმრად

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 2 სექტემბერი.

ცსკა – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

ცსკა: ასტაპოვსკი, უტკინი, ბაბენკო, კაპლიჩნი, ვისოკიხი, შლაპაკი, ფედოტოვი, ლიხოშერატნიხი, მოროზოვი, ტელინგერი (კოზლოვსკიხი), დოროფეევი.

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი (ესებუა), მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

გაფრთხილებულია ვ. კაპლიჩნი.

დუბლიორები – 3:1.

თბილისის დინამოელთა წლევანდელი უსიამოვნებანი სწორედ ცსკა–სთან მარცხით დაიწყო ჩემპიონატის გახსნის დღეს, 12 აპრილს. მაშინ არმიელებმა საუცხოოდ ითამაშეს, დამაჯერებლად გაიმარჯვეს (3:1) და ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ისინი ერთ–ერთი მაღალი ადგილის პრეტენდენტები უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ ეს შთაბეჭდილება მცდარი გამოდგა. არმიელთა კარგ სტარტს მძიმე ჩავარდნა მოჰყვა და ისინი თანდათან ჩამოქვეითდნენ ცხრილის ბოლოში, იქ, სადაც თბილისის “დინამო” იყო. 2 სექტემბრისთვის ეს ორი გუნდი დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ცსკა–ს ჰქონდა 17 ქულა (XI ადგილი), თბილისის “დინამოს” – 15 ქულა (XIV ადგილი). ამდენად, ერთი რომელიმე მხარის გამარჯვება მკვეთრად ცვლიდა სატურნირო მდგომარეობას. კერძოდ, წარმატების შემთხვევაში არმიელები 4 ქულით სცილდებოდნენ თბილისელებს.

მასპინძლებმა ყველა ღონეს მიმართეს შეესრულებინათ ეს ამოცანა. მათ თავიდანვე აქტიურად დაიწყეს თამაში, მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ დინამოელთა დაცვა დიდი მონდომებით, მწყობრად და ყურადღებით თამაშობდა. თბილისელები ხშირად გადადიოდნენ კონტრიერიშზე. თავდამსხმელებს კარგად უმაგრებდა ზურგს მ. მაჩაიძე.

ტაიმს შედეგი არ მოუცია. შესვენების შემდეგ დინამოელებმა გააძლიერეს იერიშები, ცსკა–ს კარი რამდენიმეჯერ აღმოჩნდა სახიფათო სიტუაციაში და 67–ე წუთზე ანგარიშიც გაიხსნა: თავისუფალი დარტყმიდან გათამაშებული ბურთი მ. მაჩაიძემ ზუსტად გაგზავნა მიზანში.

10 წუთის შემდეგ ნოდიას მიეცა გოლის გატანის კარგი შანსი, როცა ასტაპოვსკის ხელიდან გაუვარდა ბურთი, მაგრამ მოსკოველებმა ბოლო მომენტში შეძლეს ხიფათის უვნებელყოფა.

მატჩის მიწურულს მასპინძლებმა შორიდან რამდენიმეჯერ სცადეს საპასუხო გოლის გატანა, მაგრამ გაგოშიძე ფხიზლად იყო. მას მოუხდა ფედოტოვისა და მოროზოვის მიერ დარტყმული ბურთების მოგერიება.

საბოლოოდ, თბილისის “დინამომ” შეინარჩუნა ანგარიში და უაღრესად საჭირო 2 ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში. ეს წლეულს მისი პირველი გამარჯვებაა სტუმრად.

“ლელო”, 4 სექტემბერი, 1974 წ.